განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

# აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება

შეფასების თარიღ(ებ)ი
2019 წლის 5 აპრილი
დასკვნის წარდგენის თარიღი
2019 წლის 7 მაისი

თბილისი
2019

## ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

| | |
|---|---|
| დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით | სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი |
| დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი | 424066977 |
| დაწესებულების სახე | უნივერსიტეტი |

## ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

| | |
|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა |
| განათლების საფეხური | დოქტორანტურა |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია კვალიფიკაციის კოდის მითითებით | ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი, 10 |
| სწავლების ენა | ქართული |
| კრედიტების რაოდენობა | 180 |
| პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/ახალი) | ახალი |

## ექსპერტთა ჯგუფის წევრები

| | |
|---|---|
| თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეიმურაზ პაპასქირი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | ნინო პოპიაშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | პაატა ბუხრაშვილი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | თეონა კუპრაძე, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო |
| წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა) | |

## აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა შედგება 180 ECTS კრედიტისაგან, საიდანაც 40 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს, ხოლო 140 კრედიტი – დისერტაციაზე მუშაობას. სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო (30 კრედიტი, საიდანაც 5 კრედიტი ეთმობა სასწავლო კურსს დიგიტალური ჰუმანიტარია, 15 კრედიტი – პროფესორის ასისტენტობას, 10 კრედიტი – დოქტორანტის სემინარს) და არჩევითი (10 კრედიტი) კომპონენტებისაგან. ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა ახალი პროგრამაა, თუმცა ის წარმოადგენს დღეს მოქმედი პროგრამის გაგრძელებას. პროგრამა ანიჭებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის აკადემიურ ხარისხს, რაც შესაბამისობაშია ეროვნული საკვალიფიკაციო ჩარჩოთი განსაზღვრული დარგის/სპეციალობების ჩამონათვალთან, თუმცა ნაკლებად არის შესაბამისობაში საკუთრივ პროგრამის სწავლის შედეგებთან, რომლებიც ცხადყოფს, რომ საუბარი არის კონკრეტულ დისციპლინებში (ფილოლოგია, ისტორია, ეთნოლოგია) მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე და არა რაიმე გამაერთიანებელ კონცეფციაზე, რასაც პრინციპში ითხოვს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭება. აღნიშნული კონცეფცია გარკვეულწილად გამოჩნდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს, როდესაც ითქვა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ძირითადად ორიენტირებულია რეგიონთან დაკავშირებული საკითხების კვლევაზე, რა დროსაც ხშირად აუცილებელი ხდება ლინგვისტური, ისტორიული და ეთნოლოგიური საკითხების შეჯერება. მიუხედავად ამისა, პროგრამაში და თვითშეფასების კითხვარში ეს არ ჩანს, ხოლო დღეს არსებული პროგრამიდან უკვე დაცული სამი დისერტაციიდან უშუალოდ რეგიონს ეხება მხოლოდ ერთი.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის შესაფასებლად ჩატარდა 2019 წლის 4-5 აპრილს. ვიზიტმა წინასწარ შემუშავებული დღის წესრიგის მიხედვით ჩაიარა და მის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციას, ფაკულტეტის ადმინისტრაციას, პროგრამის თვითშეფასების ჯგუფს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ პერსონალს, მოქმედი პროგრამის დოქტორანტებს და კურსდამთავრებულებს, დამსაქმებლებს. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, კერძოდ, აუდიტორიები, კაბინეტები და ბიბლიოთეკა. ვიზიტის მსვლელობაში დადგინდა წარმოდგენილი დოკუმენტაციისა თუ ადგილზე არსებული რეალობის ურთიერთშესაბამისობა.

ვიზიტმა კოლეგიალურ ვითარებაში ჩაიარა და მისი მსვლელობისას რაიმე პრობლემები არ შექმნილა.

- **საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაშია III, IV და V სტანდარტებთან, მეტწილად შესაბამისობაშია I სტანდარტთან და ნაწილობრივ შესაბამისობაშია II სტანდარტთან.

- რეკომენდაციები

პროგრამის შესწავლის შემდეგ აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფმა შეიმუშავა შემდეგი რეკომენდაციები:

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების აუცილებლობის დასაბუთება პროგრამაში და ამის გამოკვეთა პროგრამის მიზნებში;
- სწავლის შედეგების რუკა საჭიროებს გადამუშავებას.
- უნდა შემუშავდეს გარდამავალი დებულებები, რომელიც დაარეგულირებს დოქტორანტების გადაყვანას მილევადი პროგრამიდან ახალ სადოქტორო პროგრამაზე, რადგანაც სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აქამდე მოქმედ სადოქტორო პროგრამას არ ჰქონდა წინაპირობად ინგლისური ენის B2 დონეზე ჩაბარება და დღეს პროგრამაზე დაფიქსირებულ სტუდენტთა უდიდეს ნაწილს აქვს ჩაბარებული სხვა ენა (რუსული ან გერმანული);
- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების აუცილებლობის დასაბუთება პროგრამის სწავლის შედეგებით;
- თუ სადოქტორო პროგრამისთვის აუცილებელია თურქული, სომხური ან ბერძნული ენის ცოდნა, მაშინ ენების სწავლება ან უფრო მაღალ დონეზე უნდა იქნას აყვანილი, ან მოიძებნოს სხვა, უფრო ეფექტური მექანიზმი მიზნის მისაღწევად, ვიდრე ეს არის ენის საწყისი დონის სწავლება.
- საგანი „მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის კრიტიკული აზროვნების ასპექტები“ მოიცავს დასახელებული პერიოდის ქართული ლიტერატურის კრიტიკას, თუმცა სილაბუსში არ არის დასახელებული უახლესი გამოკვლევები, რაც ბოლო წლებში გამოქვეყნდა აღნიშნულ პერიოდზე ტოტალიტარიზმის, სოცრეალიზმის, კოლონიალიზმისა და პოსტკოლონიალიზმის მეთოდოლოგიური კვლევების გათვალისწინებით. მიზანშეწონილია, სასწავლო კურსი შეივსოს თანამედროვე, უახლესი გამოკვლევებით.
- საგნის „თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოსა და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების (XI საუკუნის 90-იან წლებამდე) კვლევა“ სილაბუსი საჭიროებს ლიტერატურით, პირველ რიგში, უახლესი გამოკვლევებით შევსებას;
- საგნის „საქართველოს უახლესი ისტორიის პრობლემები (1991-2016)“ სილაბუსი საჭიროებს ტექნიკურ შესწორებას, რადგანაც სავალდებულო ლიტერატურაში მე-6 ნომრად მითითებულია სტივენ ჯონსის ბიოგრაფია;
- საგნის „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ სილაბუსი საჭიროებს ლიტერატურით სერიოზულ შევსებას, რადგანაც მასში სულ სამი დასახელების ნაშრომი არის მითითებული და ყველა მათგანი ქართულენოვანია. საჭიროა შესაბამისი უახლესი ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამატება;
- სილაბუსებში, სადაც რუსულენოვანი ლიტერატურა არის მითითებული სავალდებულო ლიტერატურაში (ან უბრალოდ ლიტერატურაში, რომელიც არ არის დაყოფილი სავალდებულოდ და დამატებითად), შევიდეს ცვლილება და ან ეს ლიტერატურა გადავიდეს არჩევითში, ან საგანს გაუჩნდეს წინაპირობად რუსული ენის ცოდნა შესაბამის დონეზე. ეს სილაბუსებია:
  1) ადამიანის მხატვრული სახის ასახვისა და კვლევის რეალიზების გზები V-XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში;
  2) ეთნოლოგიური კვლევის თანამედროვე პრობლემები და მეთოდები;

3) ისტორიის კვლევის თანამედროვე მეთოდები;

4) საქართველოს ისტორიის თურქული წყაროების და ისტორიოგრაფიის ტენდენციები და გამოყენების სპეციფიკა (1914-1921);

5) ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები.

- მიზანშეწონილია, შემუშავებულ იქნას დეტალური ინსტრუქცია დისერტაციაში გამოსაყენებელ ციტირების წესთან დაკავშირებით და დოქტორანტებს ჩაუტარდეთ ტრენინგი ამ საკითხთან დაკავშირებით;
- დისერტაციის ინტერნაციონალიზაციის პუნქტში მოსაწესრიგებელია დოკუმენტაცია, კერძოდ, დოქტორანტურის დებულება და თვითშეფასების ანგარიში;
- იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში პუბლიკაციის ნაცვლად მიზანშეწონილია დოქტორანტებს მოეთხოვოთ რომელიმე სამეცნიერო ბაზაში (ვთქვათ, SCOPUS ან ERIH PLUS) დაფიქსირებულ ჟურნალში სტატიის დაბეჭდვა;
- დასახვეწია საბოლოო დაცვის პროცედურა. უმჯობესი იქნება, თუ ერთ-ერთი რეცენზენტის უარყოფითი დასკვნის შემთხვევაში გამოიყოფა მესამე რეცენზენტი და მისი დასკვნის შესაბამისად განისაზღვრება დაცვის პროცედურის ჩატარება/არჩატარების საკითხი.

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

  - სასურველია, პროგრამაზე შემოსვლისას დოქტორანტმა სხვა მოთხოვნილ საბუთებთან ერთად წარმოადგინოს თემის მონახაზი;
  - სასურველია, სასწავლო კურსებს დაემატოს კურსები კლასიკური ქართული ლიტერატურის და თანამედროვე ლიტერატურული პროცესების შესახებ;
  - სასურველია, დაზუსტდეს იმპაქტ-ფაქტორის მქონე საერთაშორისო ჟურნალების საკითხი (პროფესორ-მასწავლებელთა პუბლიკაციებთან დაკავშირებით) და ამის ნაცვლად მიეთითოს შესაბამისი დარგის ელექტრონული სამეცნიერო ბაზები (SCOPUS, ERIH PLUS და სხვ.), რაც ბევრად უფრო მიზანშეწონილია ჰუმანიტარულ მეცნიერებებში.

- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)

- განმეორებითი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა(ასეთის არსებობის შემთხვევაში)

## პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. ### საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

| 1.1პროგრამის მიზნები |
| --- |
| პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული იგი და რა წვლილი შეაქვს დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. |

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის მიზანია მაღალკვალიფიციური სპეციალისტის მომზადება, რომელიც შეძლებს: ა) დისერტაციის სახით შექმნას ახალი მეცნიერული ცოდნა კონკრეტულ თემაზე ტრადიციული და ინოვაციური მეთოდოლოგიის გამოყენებით; და ბ) თეორიულთან ერთად დამოუკიდებელ პრაქტიკულ სამეცნიერო კვლევას სამეცნიერო-კვლევით ერთეულებში და სწავლებას უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში. გარდა ამისა, პროგრამაში მითითებულია, რომ მან უნდა განუვითაროს დოქტორანტს ის უნარ-ჩვევები, რომლებსაც ეს უკანასკნელი წარმატებით გამოიყენებს სამეცნიერო კვლევის დროს. აქვე ჩამოთვლილია ამოცანები, რომლებიც გააჩნია პროგრამას:

- დოქტორანტს მისცეს თავისი კვლევის შესაბამისი მსოფლიოს მასშტაბით შექმნილი მეცნიერული სიახლის შესახებ ცოდნა;
- გაუღრმავოს ცოდნა როგორც მიმართულების განვითარების, ასევე მისი კვლევის ისტორიის სფეროში;
- განუვითაროს ახალი, რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზის, სინთეზისა და შეფასების უნარი;
- განუვითაროს არჩეული მიმართულების მიხედვით სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის ორგანიზებისა და წარმართვის უნარ-ჩვევები, სამეცნიერო კვლევის მაღალ დონეზე შესრულების უნარი.
- განუვითაროს ტრადიციული და ინოვაციური მეთოდების კვლევაში გამოყენების უნარ-ჩვევები;
- დოქტორანტს გამოუმუშავოს წარმატებული პედაგოგიური საქმიანობის უნარ-ჩვევები.

პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას და სტრატეგიულ გეგმას, თუმცა პროგრამაში მოცემული მიზნები და ამოცანები ერთგვარად ზოგად ხასიათს ატარებს. ვინაიდან პროგრამა ანიჭებს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხს, მისი მიზნებიდან გაუგებარია, რომელ დარგში ხდება დოქტორანტისთვის მისი კვლევის შესაბამისი მსოფლიო მასშტაბით შექმნილი მეცნიერული სიახლის შესახებ ცოდნის გადაცემა. თავად პროგრამაში ნაჩვენებია, რომ ის აერთიანებს ჰუმანიტარული მეცნიერებების შემდეგ დარგებს: ფილოლოგია, ისტორია და ეთნოლოგია და მათ ქვედარგებს, მაგრამ შემდეგ არაფერი არის ნათქვამი იმაზე, თუ როგორი სახით ხდება ეს გაერთიანება და რა ასახვას ჰპოვებს სადისერტაციო ნაშრომში. აღსანიშნავია ისიც, რომ გაუგებარია, თუ რატომ უნდა ენიჭებოდეს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ხარისხი წმინდა ისტორიული ან ფილოლოგიური სახის ნაშრომში. პროგრამის ხელმძღვანელებმა აღნიშნეს, რომ წარსულმა გამოცდილებამ აჩვენა ამ გაერთიანების აუცილებლობა, რადგანაც მოქმედი

| |
|---|
| პროგრამის (უნივერსიტეტში ამჟამად მოქმედებს 2014 წლიდან აკრედიტებული სადოქტორო პროგრამა, რომელიც ანიჭებს სამ ხარისხს: ფილოლოგიის დოქტორი, ისტორიის დოქტორი და ეთნოლოგიის დოქტორი, თუმცა მისი ამ სახით რეაკრედიტაციაზე შემოტანა კანონმდებლობის ცვლილებამ შეუძლებელი გახადა, რადგანაც სადოქტორო პროგრამას არ შეუძლია 3 კვალიფიკაციის მინიჭება) დოქტორანტებს ხშირად სჭირდებოდათ სხვა დისციპლინები თავისი ნაშრომის შესასრულებლად. მიუხედავად ამისა, როგორც არსებული პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან საუბარმა ცხადყო, მათი სადისერტაციო ნაშრომები, უმეტეს შემთხვევაში (დაახლოებით 2/3 მაინც) ძირითადად არ სცდება საკუთარი დარგის ფარგლებს. გამაერთიანებელი ხარისხის მინიჭების აუცილებლობა არ არის დასაბუთებული არც თავად პროგრამაში და არც თვითშეფასების კითხვარში. პროგრამის სტრუქტურიდან გამომდინარე კი ამ ხარისხის მინიჭება გარკვეულწილად ხელოვნურ ხასიათს ატარებს, რადგანაც სასწავლო კომპონენტის ის ნაწილი, რომელიც საგნებს ეთმობა, თითქმის ყველა სტუდენტის შემთხვევაში მხოლოდ სამ საგანს მოიცავს. უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და პროგრამის ხელმძღვანელების აზრით, ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მიღება კურსდამთავრებულებს გაუადვილებს დასაქმებას, თუმცა, ჩვენი აზრით, ამის დადასტურება დღესდღეობით შეუძლებელია. აქვე ცალკე აღნიშვნის ღირსია ის გარემოებაც, რომ პროგრამის სახელწოდება ინგლისურად ნათარგმნია, როგორც PHD Programme of Humanitarian Sciences, რაც აშკარად არასწორი თარგმანია და უნდა იყოს Ph.D. in Humanities. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ უნივერსიტეტის მისია (http://www.sjuni.edu.ge/ge/მისია-2/) და სტრატეგიული გეგმა (http://www.sjuni.edu.ge/wp-content/uploads/2018/სტრატეგიული-გეგმა-2014-19-წწ.-ახალი1.pdf);<br>○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;<br>○ ინტერვიუ სტუდენტებთან;<br>○ სადისერტაციო ნაშრომები (http://www.sjuni.edu.ge/ge/დისერტაციები/). |
| რეკომენდაციები:<br><br>○ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების აუცილებლობის დასაბუთება პროგრამაში და ამის გამოკვეთა პროგრამის მიზნებში. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს |

| სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
|---|
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები |
|---|
| ➢ პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;<br>➢ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;<br>➢ შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას თუ უნარებს, რომლებსაც დოქტორანტი იძენს სწავლის პერიოდში. პროგრამის სწავლის შედეგები რეალისტურად არის ჩამოყალიბებული და მიღწევადია. პროგრამის სწავლის შედეგები არის შეფასებადი და გაზომვადი. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი ხდება როგორც პირდაპირი წესით (სასწავლო კურსების, დოქტორანტის სემინარის, პროფესორის ასისტენტობის შეფასებით და ა.შ.), ისე არაპირდაპირი შეფასების მეთოდებით (დოქტორანტთა და კურსდამთავრებულთა გამოკითხვები). აღნიშნული შეფასებების შედეგები გამოიყენება პროგრამის დახვეწისას, კერძოდ, სასწავლო კომპონენტში არჩევითი საგნების რაოდენობის გაზრდის სურვილი გათვალისწინებულ იქნა ახალი პროგრამის წარმოდგენისას. სტუდენტთა მოთხოვნის საფუძველზე პროგრამაში დამატებულ იქნა ენები, თუმცა ამჟამად ძნელი განსასაზღვრია, რამდენად აუმჯობესებს განხორციელებული ცვლილებები პროგრამას, რადგანაც ენების შემთხვევაში (რუსული ენის გარდა) სტუდენტი რეალურად იღებს მხოლოდ საწყისი დონის ცოდნას, რაც მას ნაკლებად წაადგება სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობისას (ამის შესახებ დეტალურად იხ. პუნქტი 2.3).<br>გარდა ამისა, სწავლის შედეგები რეალურად წარმოადგენს კონკრეტულ დისციპლინებში (ფილოლოგია, ისტორია, ეთნოლოგია) მიღებულ ცოდნას და გამოცდილებას და არ ჩანს კავშირი მისანიჭებელ ხარისხთან (ამის შესახებ დაწვრილებით |

| |
|---|
| იხ. პუნქტი 2.2).<br>პროგრამაში წარმოდგენილია სწავლის შედეგების რუკა, რომელიც გარკვეული ხარვეზებით არის შედგენილი. მაგალითად, მე-4 სწავლის შედეგს – „სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული იცნობს და იყენებს სილაბუსების შედგენის პრინციპებს. შეუძლია კონკრეტული დისციპლინების სასწავლო-მეთოდური მასალების, სილაბუსების, სალექციო კურსების შექმნა და ლექციების წარმატებულად წარმართვა“ – მოცემული რუკის მიხედვით იძლევა პროგრამის შემდეგი კომპონენტები: ეთნოლოგიური კვლევის თანამედროვე პრობლემები და მეთოდები; უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა; სწავლების თანამედროვე მეთოდები; პროფესორის ასისტენტობა; სადისერტაციო ნაშრომი. რეალურად, აღნიშნულ შედეგზე ჩამოთვლილი კომპონენტებიდან გადის მხოლოდ პროფესორის ასისტენტობა (ყოველ შემთხვევაში, საგნებში უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა და სწავლების თანამედროვე მეთოდები სწავლის შედეგებში მსგავსი შედეგი არ არის დაფიქსირებული, ხოლო ეთნოლოგიური კვლევის თანამედროვე პრობლემები და მეთოდები და სადისერტაციო ნაშრომი მოცემულ სწავლის შედეგთან ლოგიკურად კავშირში არც უნდა იყოს). მსგავსი მდგომარეობა გვაქვს სწავლის 1-ელ შედეგთან დაკავშირებითაც, როდესაც საგანი „ისტორიული კვლევის თანამედროვე მეთოდები“ რატომღაც არ ანიჭებს არანაირ ცოდნას ჰუმანიტარული მეცნიერებების კონკრეტულ დარგებში, მაშინ როდესაც თავად სილაბუსის სწავლის შედეგებიც და შინაარსიც ცხადყოფს, რომ დოქტორანტი დაეუფლება ისტორიის დარგში არსებულ თანამედროვე კვლევის მეთოდების ცოდნას. აქედან გამომდინარე, სწავლის შედეგების რუკა საჭიროებს გადამუშავებას და სილაბუსებში ასახულ შედეგებთან შესაბამისობაში მოყვანას. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br>○ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>○ ინტერვიუ დოქტორანტებთან;<br>○ სადისერტაციო ნაშრომები (http://www.sjuni.edu.ge/ge/დისერტაციები/). |
| რეკომენდაციები:<br>o სწავლის შედეგების რუკა საჭიროებს გადამუშავებას. |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br>o არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br>o პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)<br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა |

| |
|---|
| წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>o |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

## პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

| სტანდარტი | შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან | არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |
|---|---|---|---|---|
| საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა | | √ | | |

## 2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

| 2.1პროგრამაზე დაშვების წინაპირობები |
|---|
| უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები განსაზღვრულია პროგრამის სპეციფიკიდან გამომდინარე და შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან. სადოქტორო პროგრამაზე დაშვების წინაპირობებებია: მაგისტრის, |

ან მასთან გათანაბრებული ერთსაფეხურიანი უმაღლესი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი, რომლის დიპლომი აღიარებულია სახელმწიფოს მიერ.

დოქტორანტურის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ცოდნა. ამასთან, დოქტორანტობის უცხოენოვან კანდიდატს, რომელსაც სურს სწავლა გააგრძელოს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამაზე, მოეთხოვება ქართული ენის ცოდნა B2 დონეზე.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები გამჭვირვალე, საჯარო და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ვებგვერდზე (იხ.:http://www.sjuni.edu.ge/wp-content/uploads/2019/04/პროგრამა_ჰუმანიტარულ-მეც.სადოქტორო-_სჯსუ.pdf).

დამატებითი წინაპირობები პროგრამას არ აქვს. ვინაიდან სადოქტორო პროგრამა ინტერდისციპლინურია და მოიცავს ფილოლოგიის (მათ შორის, ქართველური ენათმეცნიერებისა და ქართული ლიტერატურის), ისტორიისა და ეთნოლოგიის მიმართულებებს, სასურველია, დოქტორანტმა წინასწარ წარმოადგინოს თემის მონახაზი, რომელსაც წარმოადგენს სხვა მოთხოვნილ საბუთებთან ერთად. დამატებით უნდა აღინიშნოს ისიც, რომ, როგორც პროგრამის თვითშეფასების ანგარიშშია მითითებული, „უნივერსიტეტის რექტორი, დოქტორანტი და სამეცნიერო ხელმძღვანელი, ჩარიცხვიდან არა უმეტეს ორი თვის ვადაში ხელს აწერენ ხელშეკრულებას, რომელიც განსაზღვრავს ყველა მხარის უფლება-მოვალეობებს. ხელშეკრულების ნაწილია დოქტორანტის ინდივიდუალური გეგმა. დოქტორანტი სამეცნიერო ხელმძღვანელთან ერთად ადგენს ინდივიდუალურ გეგმას (სადოქტორო პროგრამის შესაბამისად), რომელიც დამოკიდებულია დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის, შესაბამისი დარგის და სადოქტორო პროგრამის სპეციფიკაზე, ასევე დოქტორანტის აკადემიურ გამოცდილებაზე“. შესაბამისად, საკვლევი თემის მოკლე მონახაზი ხელს შეუწყობს დოქტორანტს კვლევითი საკითხების დაგეგმვაშიც, რაც ჩარიცხვიდან 2 თვეში უნდა განხორციელდეს.

საკრედიტაციოდ წარმოდგენილი ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა ჰუმანიტარულ მეცნიერებებში არის ახალი, რომელზე მიღებაც ჯერ არ განხორციელებულა. უნივერსიტეტში მანამდე ფუნქციონირებდა ანალოგიური ტიპის სადოქტორო პროგრამა, რომელზეც ირიცხებიან სტუდენტები და საიდანაც უნდა განხორციელდეს სტუდენტების გადაყვანა წარმოდგენილ პროგრამაზე. უნივერსიტეტი გეგმავს, აღნიშნული განხორციელდეს შიდა მობილობით დადგენილი პროცედურებით, თუმცა პროცედურები ჯერ სრულად გარკვეული არ არის. განსაკუთრებულ პრობლემას ქმნის ის გარემოება, რომ წინა პროგრამას არ ჰქონდა წინაპირობად ინგლისური ენის B2 დონეზე ჩაბარება. შესაბამისად, დღეს პროგრამაზე დაფიქსირებულ სტუდენტთა უდიდეს ნაწილს აქვს ჩაბარებული სხვა ენა (რუსული ან გერმანული). აქედან გამომდინარე, სასურველია, შემუშავდეს გარდამავალი დებულებები, რომელიც დაარეგულირებდა დოქტორანტების გადაყვანას მილევადი პროგრამიდან ახალ სადოქტორო პროგრამაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

- ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა;
- თვითშეფასების ანგარიში;
- ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;
- ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;
- ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- ინტერვიუ სტუდენტებთან;
- ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან.

რეკომენდაციები:

- უნდა შემუშავდეს გარდამავალი დებულებები, რომელიც დაარეგულირებს დოქტორანტების გადაყვანას მილევადი პროგრამიდან ახალ სადოქტორო პროგრამაზე, რადგანაც სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში აქამდე მოქმედ სადოქტორო პროგრამას არ ჰქონდა წინაპირობად ინგლისური ენის B2 დონეზე ჩაბარება და დღეს პროგრამაზე დაფიქსირებულ სტუდენტთა უდიდეს ნაწილს აქვს ჩაბარებული სხვა ენა (რუსული ან გერმანული).

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- სასურველია, დოქტორანტმა სხვა მოთხოვნილ საბუთებთან ერთად წარმოადგინოს თემის მონახაზი.

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

## 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

**სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**

სადოქტორო პროგრამა შეადგენს 180 ECTS კრედიტს. მასში შედის სასწავლო და კვლევითი კომპონენტები. სასწავლო კომპონენტი შეადგენს 40 კრედიტს, ხოლო კვლევითი კომპონენტი – 140 კრედიტს. დოქტორანტის სასწავლო კომპონენტის მიზანია დოქტორანტის დარგობრივი დახელოვნება, მათ შორის, სადოქტორო ნაშრომის შესრულების კომპეტენციების გამომუშავება, ასევე, აკადემიური და კვლევითი საქმიანობისა და უნარ-ჩვევების შეძენა. სასწავლო კომპონენტში შედის სავალდებულო და არჩევითი საგნები. პროფესორის ასისტენტობა 15 კრედიტი, სემინარი 10 კრედიტი, ასევე, სასწავლო კურსები 15 კრედიტის მოცულობით. სასწავლო კურსებში სავალდებულოა ერთი საგანი, დიგიტალური ჰუმანიტარია, რომელიც მნიშვნელოვანი სიახლეა სადოქტორო საფეხურზე და არის თანამედროვე და ინოვაციური, ხოლო დანარჩენი საგნები არჩევითია.

პროგრამის სტრუქტურა მთლიანობაში თანამიმდევრული და ლოგიკურია, თუმცა ზოგიერთი საგნის სილაბუსი მცირე წინააღმდეგობაში მოდის პროგრამის წინაპირობებთან. კერძოდ, ზოგიერთ სილაბუსში ძირითად ლიტერატურაში მოცემულია რუსულენოვანი ლიტერატურა, მაშინ როდესაც თვითონ საგანს რაიმე წინაპირობა არ გააჩნია, ხოლო რუსული ენის ცოდნა არ წარმოადგენს პროგრამაზე დაშვების წინაპირობას.

რაც შეეხება მისანიჭებელ ხარისხს – ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორი – ის ნაკლებად არის შესაბამისობაში სწავლის შედეგებთან. კერძოდ, პროგრამაში მოცემული სწავლის შედეგების თანახმად:

1. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს მიღებული აქვს განათლება ჰუმანიტარული მეცნიერებებიდან შემდეგი დარგების: ქართული ფილოლოგია, ისტორია, ეთნოლოგია კონკრეტულ დისციპლინებში, რაც არსებული ცოდნის გაფართოებისა და ინოვაციური მეთოდების გამოყენების საშუალებას იძლევა.
2. დოქტორანტს აქვს მის მიერ არჩეულ დარგში/დარგებში და/ან ქვედარგში ფართო, ღრმა და სისტემური ცოდნა. ფლობს ამ სფეროს თეორიულ პრინციპებსა და კვლევის მეთოდებს. არსებულ ცოდნას ხელახლა იაზრებს და ნაწილობრივ გადააფასებს. განსაზღვრავს მის ადგილს თანამედროვე მეცნიერებათა (ჰუმანიტარულ, სოციოლოგიურ...) და ინტერდისციპლინურ კვლევებს შორის.
3. პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია შექმნას სამეცნიერო ღირებულების მქონე საკვალიფიკაციო ნაშრომი და პუბლიკაციები ჰუმანიტარული მეცნიერებების მის მიერ არჩეულ დარგში/დარგებში და/ან ქვედარგში. მიღებული ცოდნის საფუძველზე შეუძლია გააგრძელოს დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა სამეცნიერო დაწესებულებებში, უნივერსიტეტებში, ასევე ჯგუფურად იმუშაოს სამეცნიერო კვლევებზე ამა თუ იმ პროექტის ფარგლებში. ინტერდისციპლინური კვლევის გაძლიერების მიზნით შეუძლია წარმატებით ითანამშრომლოს მომიჯნავე დარგების წარმომადგენლებთან. შეუძლია ასევე დაგეგმოს და განახორციელოს (ინდივიდუალურად ან ჯგუფურად) ისეთი სამეცნიერო კვლევა, რომლის შედეგებსაც აქვს პრაქტიკული (გამოყენებითი) დანიშნულება.
4. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებული იცნობს და იყენებს სილაბუსების შედგენის პრინციპებს. შეუძლია კონკრეტული დისციპლინების სასწავლო-მეთოდური მასალების, სილაბუსების, სალექციო კურსების შექმნა და ლექციების წარმატებულად წარმართვა.
5. სადოქტორო პროგრამის კურსდამთავრებულს განვითარებული აქვს კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი ანალიზისა თუ სინთეზის უნარი. მას შეუძლია სხვათა ნაშრომების სათანადოდ შეფასება. შეუძლია მონაწილეობის მიღება სამეცნიერო დისკუსიებში, საკუთარი პოზიციის წარმოჩენა და

| |
|---|
| არგუმენტირებულად დაცვა. გამომუშავებული აქვს საწინააღმდეგო აზრის მოსმენისა და სამეცნიერო კამათის უნარი. დოქტორანტს აქვს თავისი ცოდნისა თუ სამეცნიერო მიღწევის მსმენელისთვის საინტერესოდ მიწოდების უნარი.<br>6. კურსდამთავრებულს აქვს ღრმა ანალიზისა და სინთეზის უნარი. შეუძლია კვლევის არასრული და წინააღმდეგობრივი მონაცემების კრიტიკული და შემოქმედებითი ანალიზი. რთული და წინააღმდეგობრივი იდეებისა და მიდგომების კრიტიკული ანალიზი, სინთეზი და შეფასება. შეუძლია სწორი, სტრატეგიული და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება.<br>7. კურსდამთავრებული პატივს სცემს კულტურათა მრავალფეროვნებას და განსხვავებულ აზრს. ამკვიდრებს აკადემიური ეთიკის ფასეულობებს, შეუძლია ღირებულებათა დამკვიდრების გზების ძიება და მათ დასამკვიდრებლად ინოვაციური მეთოდების შემუშავება.<br>როგორც მოყვანილი სწავლის შედეგები ცხადყოფს, საუბარი არის კონკრეტულ დისციპლინებში (ფილოლოგია, ისტორია, ეთნოლოგია) მიღებულ ცოდნასა და გამოცდილებაზე და არა რაიმე გამაერთიანებელ კონცეფციაზე, რასაც პრინციპში ითხოვს ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭება. აღნიშნული კონცეფცია გარკვეულწილად გამოჩნდა უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და აკადემიურ პერსონალთან ინტერვიუების დროს, როდესაც ითქვა, რომ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი ძირითადად ორიენტირებულია რეგიონთან დაკავშირებული საკითხების კვლევაზე, რა დროსაც ხშირად აუცილებელი ხდება ლინგვისტური, ისტორიული და ეთნოლოგიური საკითხების შეჯერება. მიუხედავად ამისა, პროგრამაში და თვითშეფასების კითხვარში ეს არ ჩანს, ხოლო უკვე დაცული სამი დისერტაციიდან უშუალოდ რეგიონს ეხება მხოლოდ ერთი. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ სილაბუსები;<br>○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>○ ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>○ ინტერვიუ სტუდენტებთან;<br>○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან;<br>○ სადისერტაციო ნაშრომები (http://www.sjuni.edu.ge/ge/დისერტაციები/). |
| რეკომენდაციები:<br><br>○ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მინიჭების აუცილებლობის დასაბუთება პროგრამის სწავლის შედეგებით; |
| რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>○ არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის |
| საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს |

| |
|---|
| სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>o მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| |
|---|
| **2.3. სასწავლო კურსი** |
| ➢ ძირითადი სპეციალობის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს;<br>➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს/დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. |
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა ძირითადად დაფუძნებულია დარგის აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. სასწავლო კურსების შინაარსი შესაბამება სადოქტორო კვლევის კონკრეტულ მიზნებს.<br>ამავე დროს, ზოგიერთი არჩევითი კურსი საჭიროებს ლიტერატურით გამდიდრებას, ხოლო საგნების ნაწილში სავალდებულო ლიტერატურაში მითითებულია რუსულენოვანი ლიტერატურა, მაშინ როდესაც პროგრამის წინაპირობაში მოცემული მხოლოდ ინგლისურ ენის ცოდნა B2 დონეზე. თავად საგნებს ამ შემთხვევაში წინაპირობა არ გააჩნია. სასურველია, ან რუსულენოვანი ლიტერატურა გადავიდეს არჩევითში, ან საგანს გაუჩნდეს წინაპირობა – რუსული ენის ცოდნა შესაბამის დონეზე.<br>პროგრამა დაინტერესებულ დოქტორანტებს სთავაზობს უცხო ენების შესწავლას, კერძოდ, თურქულს, სომხურს, ბერძნულს და რუსულს. ამასთან დაკავშირებით, აღსანიშნავია, რომ რუსულ ენას არ გააჩნია წინაპირობა, ამ დროს კი ის არ იწყება საწყისი დონით და რეალურად ითხოვს, რომ სტუდენტმა კურსის დაწყებისათვის B1 დონეზე იცოდეს რუსული. რაც შეეხება თურქულს, სომხურს და ბერძნულს, ამ ენების სწავლა ანბანით იწყება და სილაბუსი ფაქტობრივად A1 დონეს შეესაბამება. ამ დონეზე ენების |

| |
|---|
| ცოდნა დოქტორანტებს სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობაში რეალურ დახმარებას ვერ გაუწევს და სასურველია, რომ ან ამ ენების სწავლა უფრო მაღალ დონზე იქნას აყვანილი, ან ამ ენების სწავლებისათვის საჭიროების შემთხვევაში, მოძებნილ იქნას სხვა, უფრო ეფექტური მექანიზმი.<br>ფილოლოგიის დარგში შეთავაზებულია როგორც ქართველური ენათმეცნიერების, ისე ლიტერატურათმცოდნეობითი და ქართული ლიტერატურის ისტორიის ცალკეული პერიოდების ამსახველი კურსები, მათ შორის, ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის მიმართულებით ორი სასწავლო კურსი და მეოცე საუკუნის დასაწყისის ლიტერატურული კრიტიკის შესახებ ერთი სასწავლო კურსი. სასურველია, არჩევით საგნებს დაემატოს კურსები კლასიკური ქართული ლიტერატურის და თანამედროვე ლიტერატურული პროცესების შესახებ. |
| მტკიცებულებები/ინდიკატორები<br><br>○ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ სადოქტორო პროგრამის სილაბუსები;<br>○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>○ ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>○ ინტერვიუ სტუდენტებთან;<br>○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან. |
| რეკომენდაციები:<br><br>o თუ სადოქტორო პროგრამისთვის აუცილებელია თურქული, სომხური ან ბერძნული ენის ცოდნა, მაშინ ენების სწავლება ან უფრო მაღალ დონეზე უნდა იქნას აყვანილი, ან მოიძებნოს სხვა, უფრო ეფექტური მექანიზმი მიზნის მისაღწევად, ვიდრე ეს არის ენის საწყისი დონის სწავლება.<br>o საგანი „მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის კრიტიკული აზროვნების ასპექტები“ მოიცავს დასახელებული პერიოდის ქართული ლიტერატურის კრიტიკას, თუმცა სილაბუსში არ არის დასახელებული უახლესი გამოკვლევები, რაც ბოლო წლებში გამოქვეყნდა აღნიშნულ პერიოდზე, როგორც ტოტალიტარიზმის, სოცრეალიზმის, კოლონიალიზმისა და პოსტკოლონიალიზმის მეთოდოლოგიური კვლევების გათვალისწინებით. მიზანშეწონილია, სასწავლო კურსი შეივსოს თანამედროვე, უახლესი გამოკვლევებით.<br>o საგნის „თურქ-სელჩუკთა სახელმწიფოსა და საქართველოს პოლიტიკური ურთიერთობების (XI საუკუნის 90-იან წლებამდე) კვლევა“ სილაბუსი საჭიროებს ლიტერატურით, პირველ რიგში, უახლესი გამოკვლევებით შევსებას;<br>o საგნის „საქართველოს უახლესი ისტორიის პრობლემები (1991-2016)“ სილაბუსი საჭიროებს ტექნიკურ შესწორებას, რადგანაც სავალდებულო ლიტერატურაში მე-6 ნომრად მითითებულია სტივენ ჯონსის ბიოგრაფია;<br>o საგნის „უმაღლესი სკოლის პედაგოგიკა“ სილაბუსი საჭიროებს ლიტერატურით სერიოზულ შევსებას, რადგანაც მასში სულ სამი დასახელების ნაშრომი არის მითითებული და ყველა მათგანი ქართულენოვანია. საჭიროა შესაბამისი უახლესი ინგლისურენოვანი ლიტერატურის დამატება;<br>o სილაბუსებში, სადაც რუსულენოვანი ლიტერატურა არის მითითებული სავალდებულო ლიტერატურაში (ან უბრალოდ ლიტერატურაში, რომელიც არ არის |

| |
|---|
| დაყოფილი სავალდებულოდ და დამატებითად), შევიდეს ცვლილება და ან ეს ლიტერატურა გადავიდეს არჩევითში, ან საგანს გაუჩნდეს წინაპირობად რუსული ენის ცოდნა შესაბამის დონეზე. ეს სილაბუსებია:<br>1) ადამიანის მხატვრული სახის ასახვისა და კვლევის რეალიზების გზები V-XVIII საუკუნეების ქართულ მწერლობაში;<br>2) ეთნოლოგიური კვლევის თანამედროვე პრობლემები და მეთოდები;<br>3) ისტორიის კვლევის თანამედროვე მეთოდები;<br>4) საქართველოს ისტორიის თურქული წყაროების და ისტორიოგრაფიის ტენდენციები და გამოყენების სპეციფიკა (1914-1921);<br>5) ლიტერატურათმცოდნეობის კვლევის ტრადიციული და ინოვაციური მეთოდები. |
| **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**<br><br>არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის<br><br>○ სასურველია, სასწავლო კურსებს დაემატოს კურსები კლასიკური ქართული ლიტერატურის და თანამედროვე ლიტერატურული პროცესების შესახებ. |
| **საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):**<br><br>○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის |
| **მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)**<br><br>○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)<br>○ |
| **შეფასება**<br><br>o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა<br><br>☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან<br><br>☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან |

| 2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება |
|---|
| პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას. |

| |
|---|
| **სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი**<br><br>ჰუმანიტარული მეცნიერებების სადოქტორო პროგრამა ხელს უწყობს დოქტორანტთა პრაქტიკული, სამეცნიერო, კვლევითი და ტრანსფერული უნარების განვითარებას. კურსდამთავრებულს გამოუმუშავდება შესაბამისი დარგების კვლევის მეთოდები, მათ შორის, დიგიტალური ჰუმანიტარიის თანამედროვე, უახლესი მეთოდები. გარდა ამისა, მნიშვნელოვანია, რომ უნივერსიტეტში მოქმედებს პლაგიატთან ბრძოლისა და პრევენციის პოლიტიკა, რაც უდავოდ ხელს შეუწყობს დოქტორანტების მიერ ორიგინალური ნაშრომების მომზადებას.<br>ფაკულტეტზე მოქმედებს ყოველკვირეული სამეცნიერო სემინარი „გულანი“, რომელზეც დოქტორანტებს აქვთ შესაძლებლობა, წარადგინონ თავისი კვლევები. გარდა ამისა, ტარდება ყოველწლიური კონფერენცია დოქტორანტებისთვის. პროფესორის ასისტენტობა ითვალისწინებს საკონფერენციო ნაშრომის მომზადებასაც. გარდა ამისა, საავრედიტაციოდ წარმოდგენილი პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია სადოქტორო ნაშრომის ინტერნაციონალიზაცია. უნივერსიტეტი ხელს უწყობს დოქტორანტებს საზღვარგარეთ პუბლიკაციის გამოქვეყნებაში და ახალ პროგრამაში ყოველი დოქტორანტისთვის ამ მიზნით ჩადებულია 2700.00 ლარი. მთლიანობაში, უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტს აქვს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიაც და ორიენტირებულია პერსონალის ნაშრომების საერთაშორისო ხელმისაწვდომობაზე, დისერტაციის ინტერნაციონალიზაციის საკითხის ასახვა პროგრამაში, თვითშეფასების კითხვარსა თუ დოქტორანტურის დებულებაში სხვადასხვაგვარია. როგორც ინტერვიუებიდან გაირკვა, სწორი არის პროგრამაში მოცემული მოთხოვნა იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალში სტატიის დაბეჭდვაზე და არა დებულების 12.2 პუნქტში მოცემული მოთხოვნები და თვითშეფასების ანგარიშში არსებული მითითება დოქტორანტურის დებულების ამ პუნქტზე. ამასთან დაკავშირებით, საჭიროა დოკუმენტაციის მოწესრიგება. გარდა ამისა, იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალის ნაცვლად (ზუსტი და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებისაგან განსხვავებით, ჰუმანიტარულ მეცნიერებებში იმპაქტ-ფაქტორის გამოყენება პრაქტიკულად არ ხდება და იმპაქტ-ფაქტორის მქონე ჟურნალების რიცხვი ძალზე მცირეა) ალბათ უპრიანი იქნებოდა რომელიმე სამეცნიერო ბაზაში (ვთქვათ, SCOPUS ან ERIH PLUS) დაფიქსირებულ ჟურნალში სტატიის დაბეჭდვა, მით უფრო, რომ, როგორც პროგრამის ხელმძღვანელებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, დადგენილი არ არის იმპაქტ-ფაქტორის მინიმალური მაჩვენებელი.<br>ვიზიტის დროს აგრეთვე დადგინდა, რომ მოქმედი პროგრამის კურსდამთავრებულების ნაწილი არ იყო გათვითცნობიერებული, თუ რომელი ციტირების სტილით შესრულა ნაშრომი. მსგავსი კაზუსების თავიდან ასაცილებლად, მიზანშეწონილია შემუშავებულ იქნას დეტალური ინსტრუქცია და დოქტორანტებს ჩაუტარდეთ ტრენინგი ამ საკითხთან დაკავშირებით. |
| **მტკიცებულებები/ინდიკატორები**<br><br>○ ჰუმანიტარულ მეცნიერებათა სადოქტორო პროგრამა;<br>○ თვითშეფასების ანგარიში;<br>○ სადოქტორო პროგრამის სილაბუსები;<br>○ ინტერვიუ უნივერსიტეტის ადმინისტრაციასთან;<br>○ ინტერვიუ პროგრამის ხელმძღვანელთან;<br>○ ინტერვიუ პროგრამის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;<br>○ ინტერვიუ სტუდენტებთან;<br>○ ინტერვიუ კურსდამთავრებულებთან. |

რეკომენდაციები:

